

**მონაცემთა აღრიცხვა ქაღათი მიმართ
ქაღაღობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისებზე
სტამბოდის კონვენსიის სტანდარტების შესაბამისად
მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები**

პროფესორი ლიზ კელი როდიკი
ლონდონის მეტროპოლიტანური უნივერსიტეტის თავმჯდომარე
ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებში

სტრასბურგი, 2018 წლის დეკემბერი

წინამდებარე დოკუმენტის ან მისი ნაწილის რეპროდუქციასა ან თარგმნასთან დაკავშირებით, გთხოვთ, მიმართოთ კომუნიკაციების დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex or publishing@coe.int), დოკუმენტზე ნებისმიერი სხვა სახის კორესპონდენცია კი გაუგზავნოთ დემოკრატიის გენერალური დირექტორატის გენდერული თანასწორობის განყოფილებას.

ფოტო: Shutterstock
დიზაინი: K.I.S. Ltd.

საჩივრი

კონსტრუქციები	5
სახელმძღვანელო პრინციპები	7
სტამბოლის კონვენსიის მოთხოვნები	7
რა არის მხარდაჭერა?	8
სპეციალიზებული და საერთო მხარდაჭერის სერვისები.....	9
ქალთა მიმართ ძალადობის ფორმები	9
მინოდების ფორმები.....	11
მხარდაჭერის სახეები	13
შემოთავაზებული მეთოდოლოგია	15
მრგვალი მაგიდა 1: სპეციალიზებული სერვისები.....	15
მრგვალი მაგიდა 2: საერთო სერვისები.....	16
არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩრდილოეთი ანგარიშის მოსამზადებლად გასათვალისწინებელი საკითხები	17
მონაცემთა აღრიცხვის ფორმები	21
1. მონაცემთა აღრიცხვის ფორმა ქალთა მიმართ ძალადობის სპეციალიზებული სერვისებისთვის	21
2. მონაცემთა აღრიცხვის ფორმები საერთო სერვისების ბაზაზე არსებული სპეციალიზებული სერვისებისთვის.....	32
3. მონაცემთა აღრიცხვის ფორმები საერთო სერვისებთან მიმართებით	39
დანართი: სტამბოლის კონვენსიის შესაბამისი მუხლები	46

მონაცემთა აღრიცხვის ეს მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები შემუშავებულია ევროპის საბჭოს პროექტის „ქალთა მიმართ ძალადობის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა ქვეყანაში. ამ პროექტის ძირითადი მიმართულებაა სპეციალისტთა ცოდნის დონის ამაღლება, ასევე, გამოცდილებისა და ეფექტიანი პრაქტიკის გაზიარება, რათა ხელი შეეწყოს საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების, კერძოდ, სტამბოლის კონვენციის (ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ) პრაქტიკაში განხორციელებას.

მონაცემთა აღრიცხვის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები თავდაპირველად შემუშავდა 2012-2014 წლებში, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით. სხვადასხვა ქვეყანაში მათი გამოყენებით (ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, კოსოვო¹, სერბეთი, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია და თურქეთი) ჩატარდა კვლევები მხარდაჭერის სერვისებზე მონაცემთა აღსარიცხად.

თავდაპირველი დიზაინი შემუშავდა სტამბოლის კონვენციის ძალაში შესვლამდე. მისი კონკრეტული მიზანი იყო მხარდაჭერის მომსახურების შესწავლა იმ ქვეყნებში, სადაც ეს სფერო ნაკლებად არის განვითარებული. ის საკვლევი ინსტრუმენტი უფრო იყო, ვიდრე დამხმარე საშუალება სტამბოლის კონვენციის განხორციელებაზე ანგარიშგებისთვის. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი (GREVIO) იწყებს კონვენციასთან იმ ქვეყნების შესაბამისობის შეფასებას, რომელთაც შედარებით კარგად განვითარებული მხარდაჭერის სერვისები აქვთ; ამასთანავე, ბოლო ათწლეულის განმავლობაში არაერთ ქვეყანაში შეიცვალა მომსახურების მიწოდების ფორმა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, განხორციელებული ცვლილებები შესაბამის ინსტრუმენტებშიც აისახოს.

ინსტრუმენტების განახლების პროცესში გათვალისწინებულია:

- ▶ GREVIO-ს ოთხი ანგარიში², რომლებიც 2018 წლის სექტემბრამდე გამოიცა;
- ▶ ქვეყნებზე მომუშავე მკვლევართა რეკომენდაციები, რომლებიც ინსტრუმენტთა მანამდე არსებულ ვერსიას იყენებდნენ, მათ შორის, რეკომენდაცია სპეციალიზებული და საერთო სერვისების მკაფიო გამიჯვნის საჭიროებაზე;
- ▶ ნეერ სახელმწიფოებში მხარდაჭერის მომსახურებათა ფორმის მხრივ განხორციელებული ცვლილებები: კერძოდ, ზოგ მომსახურებას ამჟამად შედარებით დიდი ორგანიზაციები უზრუნველყოფენ; ზოგიერთი სერვისი კი თვითონ ქალთა მიმართ ძალადობის ან ოჯახში ძალადობის სხვადასხვა ფორმას.
- ▶ პრეზუმცია, რომ GREVIO-ს წინაშე ანგარიშგებისთვის შესაბამისი მონაცემების შეგროვება სამინისტროს/სახელმწიფო მოხელის პასუხისმგებლობაა, რაც უნდა გაკეთდეს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით.

1 წინამდებარე ტექსტში კოსოვოზე მითითება (ტერიტორიის, დანესებულებებისა თუ მოსახლეობის კუთხით) უნდა გავიგოთ უსაფრთხოების საბჭოს 1244-ე რეზოლუციის შესაბამისად, და ისე, რომ ზიანი არ მიადგეს კოსოვოს სტატუსს.

2 ანგარიშები ალბანეთის, ავსტრიის, დანიისა და მონაკოს შესახებ.

ამასთან, მიღწეულია შეთანხმება, რომ წინამდებარე დოკუმენტი ითვალისწინებდეს შემდეგ ძირითად ასპექტებს:

- ▶ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის განსაზღვრება სტამბოლის კონვენციის შესაბამისად;
- ▶ სპეციალიზებული და საერთო სერვისების გამიჯვნა;
- ▶ ძალადობის ფორმები, რომლებთან მიმართებით ხელმისაწვდომია მხარდაჭერა;
- ▶ ხელმისაწვდომი მხარდაჭერის ტიპები.

განახლებული მეთოდოლოგია ნაკლებ ყურადღებას ამახვილებს მრავალუნეებრივ თანამშრომლობაზე. სამაგიეროდ, შედარებით ვრცლად მიმოიხილაეს საკითხს, როგორცაა საერთო მომსახურების სფეროში იდენტიფიკაციისათვის საჭირო რესურსებისა და ტრენინგის არსებობა, რადგან სწორედ ამ გზით არის შესაძლებელი მხარდაჭერაზე წვდომა. წინამდებარე დოკუმენტი არ განიხილაეს მოძალადეებთან მუშაობას, ვინაიდან ეს მხარდაჭერის მომსახურებაში არ შედის. ამ თემის განხილვა უფრო მეტად მიზანშეწონილია სტამბოლის კონვენციის იმ დებულებათა კონტექსტში, რომლებიც პრევენციას ეხება.

განახლებული მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების მიზანია წვერი სახელმწიფოების დახმარება მონაცემთა შეგროვებასა და GREVIO-ს მონიტორინგის პროცესისათვის მომზადებაში. ამავდროულად, დოკუმენტი არ მოიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რომლებიც შესაძლოა GREVIO-მ მოითხოვოს წვერი სახელმწიფოებისგან, ან შეაფასოს მონიტორინგის პროცესში. წარმოდგენილი მეთოდოლოგია ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ მსხვერპლთა დაცვასა და მხარდაჭერაზე (კონვენციის მე-4 თავის შესაბამისად). საბაზისო შეფასების პროცესში სახელმწიფო მხარეებს ინფორმაციის წარდგენა მოეთხოვებათ კონვენციის ყველა თავის მიხედვით.

ამგვარად, განახლებულ მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი რესურსები ითვალისწინებს:

- ▶ ინსტრუმენტთა გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპებს, მათ შორის, ძირითადი ტერმინებისა და კონცეფციების განმარტებებს;
- ▶ რეკომენდებულ მონაწილეობით მეთოდოლოგიას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისებზე მონაცემების შესაგროვებლად;
- ▶ მონაცემთა აღრიცხვის სამ სხვადასხვა ფორმას, მხარდაჭერის სხვადასხვა სექტორის შესაბამისად;
- ▶ დანართს, სადაც წარმოდგენილია სტამბოლის კონვენციის შესაბამისი მუხლები.

სახელმძღვანელო პრინციპები

წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები შეეხება მხარდაჭერის სერვისებზე მონაცემთა აღრიცხვის ინსტრუმენტებს და ითვალისწინებს:

- ▶ სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებს;
- ▶ კვლევას მხარდაჭერის სერვისების მნიშვნელობისა და იმ სექტორების შესახებ, სადაც ეს სერვისებია განთავსებული;
- ▶ სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული ძალადობის ფორმების განსაზღვრას;
- ▶ სხვადასხვა სახის მხარდაჭერას და მათი უზრუნველყოფის ფორმებს, სტამბოლის კონვენციის პირობების თანახმად.

სახელმძღვანელო პრინციპებში წარმოდგენილი განმარტებები დანერგა ევროპის საბჭომ და GREVIO-ს წინაშე ანგარიშგება სწორედ მათი გამოყენებით უნდა მოხდეს.

სტამბოლის კონვენციის მოთხოვნები

ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ (სტამბოლის კონვენცია) ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2011 წლის 7 აპრილს მიიღო. დოკუმენტი ძალაში შევიდა 2014 წლის 1 აგვისტოს.

სტამბოლის კონვენცია ეფუძნება საერთაშორისო აღიარებას, რომ ქალთა მიმართ ძალადობა არის გენდერული ნიშნით ძალადობის ფორმა, რომელიც ხორციელდება იმის გამო, რომ ისინი ქალები არიან (სახელმწიფო მხარეებს უფლება აქვთ, მათ მიერ შექმნილი დამცავი ჩარჩო გამოიყენონ კაცების, ბავშვებისა და ხანდაზმულების მიმართაც, რომლებიც ძალადობას განიცდიან ოჯახში ან შინაურ წრეში). სახელმწიფოებს მოეთხოვებათ სრულყოფილი რეაგირება ქალთა მიმართ ძალადობაზე, ზომების მიღება მისი პრევენციისათვის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და მოძალადეების დასჯა.

სტამბოლის კონვენციის საბოლოო მიზანია ძალადობის თავიდან აცილება. ამავდროულად, იგი ადგენს კონკრეტულ მოთხოვნებს მსხვერპლთა შემდგომი ძალადობისგან დასაცავად და მათთვის მხარდაჭერისა და დახმარების შესათავაზებლად, რათა შეძლონ ძალადობის გავლენის დაძლევა და ცხოვრების ხელახლა დაწყება (კონვენციის შესაბამისი მუხლები წარმოდგენილია დანართში).

ფართოდ არის გავრცელებული მოსაზრება, რომ მხარდაჭერის საუკეთესო მომსახურებას აწვდიან სპეციალიზებული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც ხშირად ქალები უძღვებიან და მართავენ, და რომელთა შექმნის მიზანია მსხვერპლთა კონკრეტულ საჭიროებებზე რეაგირება.

ამავდროულად, სახელმწიფო ორგანოების მიერ შეთავაზებული საერთო მომსახურება (მაგ.: როგორცაა სოციალური ან ჯანდაცვის მომსახურება, სამართლებრივი დახმარება და მსხვერპლთა მხარდაჭერა) შესაძლოა ითვალისწინებდეს სპეციალიზებულ მომსახურებას ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის. სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობაა მსხვერპლთა იდენტიფიცირება და მათი გადამისამართება მხარდაჭერის მისაღებად.

ამ დოკუმენტში წარმოდგენილია სამი ტიპის კითხვარი, რომლებიც დაგეხმარებათ თქვენს ქვეყანაში მომსახურების მიწოდების სხვადასხვა კომპონენტის გამოვლენაში, ასევე, მათ შესახებ კონვენციის შესაბამისი ანგარიშის მომზადებაში. დოკუმენტში წარმოდგენილია კითხვარებში გამოყენებული ტერმინების განმარტებაც.

შესაძლოა, ხელშემკვრელ სახელმწიფოებში განსხვავდებოდეს მხარდაჭერის მომსახურების ორგანიზებისა და მინოდების სისტემები. შესაბამისად, კითხვარები არ არის ამომწურავი და არ მოიცავს ეროვნულ დონეზე არსებულ ყველა თავისებურებას. თითოეული კითხვარის ბოლოს არსებული სექცია მიმოიხილავს მომსახურების სხვა ფორმებს და/ან სხვა ინფორმაციას, რომლებსაც შეიძლება კითხვარი არ ითვალისწინებდეს.

რა არის მხარდაჭერა?

მხარდაჭერასა და მისი სერვისების მნიშვნელობას განსაზღვრავს სტამბოლის კონვენციის მე-18 მუხლი და მისი განმარტებითი ბარათი (პუნქტები 111-123). აღნიშნული დოკუმენტები ცალსახად აცხადებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა უნდა ეფუძნებოდეს „გენდერულ გაგებას“ და ფოკუსირდეს „მსხვერპლის ადამიანის უფლებებსა და უსაფრთხოებაზე“. მსხვერპლთა ადამიანის უფლებები მოიცავს ღირსებას, პირადი ცხოვრების უფლებასა და ფიზიკურ ხელშეუხებლობას. არსებობს მხარდაჭერის არაერთი სხვა მიზანი/პრინციპი (მაგ.: „მოკრადი ძალადობის“ თავიდან აცილება), რაც ასევე გულისხმობს, რომ დაუშვებელია მსხვერპლის დადნაშაულება, ან მომხდარზე პასუხისმგებლობის მისთვის დაკისრება. მხარდაჭერა უნდა ეფუძნებოდეს „რწმენის კულტურას“.

მხარდაჭერა მიზნად უნდა ისახავდეს „შესაძლებლობების გაზრდასაც“: ძალადობა მსხვერპლს ართმევს საკუთარი სხეულისა და ცხოვრების კონტროლის საშუალებას; შესაბამისად, მხარდაჭერა მსხვერპლს უნდა აძლევდეს კონტროლის დაბრუნებისა და საკუთარი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას (რასაც „თვითგამორკვევასაც“ უწოდებენ). ეს შეიძლება მოიცავდეს მომხდარის შესაბამისი ორგანოებისთვის შეტყობინებას, ან ქალი სპეციალისტისთვის მიმართვას. მხარდაჭერა უნდა იძლეოდეს „ეკონომიკური დამოუკიდებლობის“ მიღწევის საშუალებასაც. სტამბოლის კონვენცია ასევე აღნიშნავს, რომ მიღებული ზომები უნდა „ითვალისწინებდეს მონყვლადი პირების, მათ შორის, მსხვერპლი ბავშვების კონკრეტულ საჭიროებებს.“ კონვენცია ცალსახად მიუთითებს ქალთა (დედების) მიმართ ძალადობის ყველა ფორმის „არასრულწლოვან მოწმეებზე“ და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა მათი უფლებების გათვალისწინება. ასევე მნიშვნელოვანია აღიარება, რომ გოგონების პირდაპირი ვიქტიმიზაცია შესაძლოა მოხდეს როგორც ოჯახში, ისე მის გარეთ.

მხარდაჭერის ძირითადი მიზანია „ძალების აღდგენის ხელშეწყობა“. ეს აღიარებს ძალადობის შედეგად მიყენებულ ზიანს და სხვადასხვა ფსიქოლოგიურ და მატერიალურ გავლენას. შესაბამისად, კონსულტაცია და რჩევა უნდა მოიცავდეს ფინანსურ დახმარებას, ჯანდაცვას, თავშესაფარს, იურიდიულ უფლებებს, დასაქმებასა და ტრენინგს და სხვა სახის სოციალურ კეთილდღეობას. მხარდაჭერის სერვისების პერსონალი „მგრძობიარე და კვალიფიციურ“ დახმარებას უნდა უწევდეს მსხვერპლს, რაც შეუძლებელია ტრენინგისა და ზედამხედველობის გარეშე.

სპეციალიზებული უწყებები ფართოდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს გეოგრაფიული თვალსაზრისით; ასევე, ფარავდეს ძალადობის ყველა ფორმას და მისი ნებისმიერი მსხვერპლის გადაუდებელ, მოკლედ და გრძელვადიან საჭიროებებს (იხ. ქვემოთ). ეს საკმაოდ რთული მოთხოვნებია, რადგან შედარებით კარგად განვითარებული სერვისები ოჯახში ძალადობას მოიცავს, ძალადობის სხვა ფორმებთან დაკავშირებული მხარდაჭერა კი ნაკლებად არის განვითარებული. „ყველა მსხვერპლთან“ მიმართებით მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვს დაფიქრებას ბარიერებზე, რომლებსაც ზოგიერთი ქალი აწყდება მხარდაჭერის მიღებისას (მაგ.: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ), ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, ხანდაზმული ან ახალი მიგრანტი ქალები³). შესაბამისად, სპეციალიზაცია შეიძლება ეხებოდეს ძალადობის იმ ფორმებს და/ან სამიზნე ჯგუფებს, რომლებიც ამჟამად სათანადო მომსახურებას ვერ იღებენ.

3 სტამბოლის კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, „მხარეების მიერ ამ კონვენციის დებულებების განხორციელება, კერძოდ, მსხვერპლთა უფლებების დამცავი ზომების მიღება, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, როგორცაა სქესი, გენდერი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულება, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობა, ეროვნულ უმცირესობასთან კუთვნილება, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადება, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეზღუდული შესაძლებლობა, ოჯახური მდგომარეობა, მიგრანტის თუ ლტოლვილის სტატუსი და სხვა“.

სპეციალიზებული და საერთო მხარდაჭერის სერვისები

სტამბოლის კონვენცია მე-18 მუხლში ცალსახად აღიარებს განსხვავებას „საერთო და სპეციალიზებულ სერვისებს“ შორის. განმარტებითი ბარათის 119-ე და 125-ე პუნქტები ამ განსხვავებას დამატებით განმარტავს.

მხარდაჭერის საერთო მომსახურება უნივერსალური სერვისია, რომელსაც ახორციელებენ საჯარო ორგანოები (სოციალური, ჯანდაცვის, ან დასაქმების სერვისები). ისინი გრძელვადიან დახმარებას უზრუნველყოფენ, თუმცა ექსკლუზიურად ძალადობის მსხვერპლთათვის არ არიან შექმნილნი.

მხარდაჭერის სპეციალიზებული მომსახურება ჩამოყალიბდა ქალთა მიმართ ძალადობის კონკრეტული ფორმების მსხვერპლთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ არის. შესაძლოა, მას მართავდეს ან აფინანსებდეს სამთავრობო უწყება, თუმცა არაერთ ქვეყანაში სპეციალიზებული მომსახურების დიდ ნაწილს შესაბამის პირებს არასამთავრობო ორგანიზაციები უწყვენ. სახელმწიფოებს ევალუბათ „ქმედითი თანამშრომლობის“ უზრუნველყოფა სახელმწიფო უწყებებსა და სპეციალიზებულ სექტორში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის; ასევე, მათი უნიკალური წვლილის აღიარება დაფინანსებით და მხარდაჭერის შეფასების, ადაპტაციისა თუ გაფართოების პროცესში ჩართვით. სპეციალიზებული სექტორი უფრო მეტად იძლევა „სისტემური“ რეაგირების შესაძლებლობას, რადგან მოიცავს ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ან რამდენიმე ფორმას და/ან უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის მხარდაჭერას. საერთო სერვისები, ძირითადად, მხარდაჭერის ერთ სფეროზე ამხვილებენ ყურადღებას (მაგ.: ჯანდაცვა ან დასაქმება).

ამავდროულად, გარკვეული სპეციალიზებული სერვისები საერთო სერვისების ბაზაზე მოქმედებს. წინამდებარე დოკუმენტის ერთ-ერთი სექცია სწორედ ამ საკითხს ეხება (მაგ.: ასეთი სერვისებია: მუნიციპალიტეტების მიერ მართული თავშესაფრები; სექსუალური ძალადობის რეფერალური ცენტრები საავადმყოფოებში; მუნიციპალიტეტებში არსებული ჯგუფები/განყოფილებები, რომლებიც ძალადობის მსხვერპლ ქალებს საჭიროებებზე მორგებულ მხარდაჭერას სთავაზობს).

ქალთა მიმართ ძალადობის ფორმები

მხარდაჭერის არაერთი სერვისი აცხადებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმას ფარავს, თუმცა, რეალურად, ისინი, ძირითადად, ოჯახში ძალადობის ექსპერტები არიან. მნიშვნელოვანია, რეალურად არსებობდეს ექსპერტული ცოდნა და გამოცდილება ქალთა მიმართ ძალადობის თითოეულ ფორმაზე რეაგირებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმა ერთმანეთთან კავშირშია, ისინი განსხვავებული დინამიკით ხასიათდება და თითოეულმა მათგანმა, შესაძლოა, განსხვავებული შედეგები გამოიწვიოს. სექსუალური ძალადობასთან დაკავშირებით მხარდაჭერის ფართო მომსახურება ევროპის მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს კვლევამ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ⁴ აჩვენა, რომ სექსუალური ძალადობა ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრებაზე (FGM), იძულებით ქორწინებასა თუ ღირსების სახელით ჩადენილ ძალადობაზე მხოლოდ რამდენიმე სპეციალიზებული სააგენტო მუშაობს. ჩვენ უნდა ზუსტად გამოვავლინოთ არსებული სიცარიელე, რათა სტამბოლის კონვენციის ფორმალური აზრი და სულისკვეთება პრაქტიკაში განხორციელდეს.

ქვემოთ წარმოდგენილია სტამბოლის კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ფორმების განმარტებები. შესაძლოა, ეროვნული კანონმდებლობა და პოლიტიკა ზუსტად ასე არ განსაზღვრავდეს მათ, თუმცა, ევროპის საბჭო სწორედ ამ დეტალებს იყენებს. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინები გენდერულად ნეიტრალურ ენაზე შედგენილი (გარდა ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრებისა), მათ გენდერული მნიშვნელობა აქვთ, ვინაიდან ძალადობის მსხვე-

4 <http://fra.europa.eu/en/publication/2014/violence-against-women-eu-wide-survey-main-results-report>

რპლნი, უმეტესწილად, ქალები და გოგონები არიან, ხოლო მოძალადეები კი, ხშირ შემთხვევაში, მამაკაცები და ბიჭები.

ინტერნეტისა და სოციალური პლატფორმების ფართო ხელმისაწვდომობისა და გამოყენების შედეგად, ქალთა მიმართ ძალადობა ინტერნეტფენომენიც გახდა. ინტერნეტში/ციფრულ სამყაროში ქალთა მიმართ ძალადობას სტამბოლის კონვენცია არ მიიჩნევს ძალადობის სპეციფიკურ ფორმად - დოკუმენტის თანახმად, ინტერნეტი არის ახალი გარემო, სადაც ქალთა მიმართ ძალადობა ხდება. სექსუალური ძალადობა და ადევნება, მაგალითად, ძალადობის ის ფორმებია, რომელთა ჩადენა ინტერნეტშიც შესაძლებელია.

განმარტებები:

ოჯახში ძალადობა - ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტი, რომლებიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა (მუხლი 3 (ბ)).

სექსუალური ძალადობა/გაუპატიურება - სხვა ადამიანის სხეულში, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის ვაგინალური, ანალური ან ორალური შეღწევის განხორციელება სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან საგნის გამოყენებით; ადამიანთან, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის სხვა აქტების განხორციელება; სხვა ადამიანის იძულება, მისი თანხმობის გარეშე, მესამე პირთან განახორციელოს სექსუალური ხასიათის აქტები (მუხლი 36).

ადევნება - მეორე პირის მიმართ მრავალჯერადი მუქარის შემკველი ქცევით გამოხატული წინასწარგანზრახული ქცევა, რომელიც მასში საფრთხის შიშს იწვევს (მაგ.: სხვა პირის გამუდმებით თვალთვალი, არასასურველი კომუნიკაცია ან სხვა პირისათვის შეტყობინება, რომ იგი დაკვირვების ქვეშაა) (მუხლი 34).

ღირსების სახელით ჩადენილი დანაშაული - ძალადობის ან მუქარის ნებისმიერი აქტი, კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი აქტების ჩათვლით, რა შემთხვევაშიც კულტურა, ადათ-წესები, რელიგია, ტრადიცია და ე.წ. „ღირსების საკითხი“ ასეთი აქტების გამამართლებელ მიზეზად ითვლება. აქ იგულისხმება, კერძოდ, ისეთი განცხადებები, რომ მსხვერპლმა დაარღვია შესაბამისი ქცევის კულტურული, რელიგიური, სოციალური ან ტრადიციული ნორმები ან ადათ-წესები (მუხლი 42).

ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება - ქალის დიდი სასირცხვო ბაგეების, მცირე სასირცხვო ბაგეების ან კლიტორის მთლიანი ან ნაწილობრივი ამოკვეთა, ინფიბულაცია ან სხვა ნებისმიერი სახით დასახიჩრება (მუხლი 38).

იძულებითი ქორწინება - წინასწარგანზრახული ქცევა, რომელიც ზრდასრულ ადამიანს ან ბავშვს აიძულებს ქორწინებაში შესვლას. ტერმინი „იძულება“ მიუთითებს ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალის გამოყენებაზე, ძალდატანებისა და ზეწოლის გამოყენებით (მუხლი 37).

სექსუალური შევიწროება - სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ფორმის არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ადამიანის ღირსების შელახვას, კერძოდ, მისთვის დამამინებელი, მტრული, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ან ავრესიული გარემოს შექმნის გზით (მუხლი 40).

იძულებითი აბორტი - ქალისთვის აბორტის ვაკეთება მისი წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის გარეშე; ისეთი ქირურგიული ოპერაციის ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ქალის ბუნებრივი რეპროდუქციის უნარის შეწყვეტას მისი წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის ან ამ პროცედურის გააზრების გარეშე (მუხლი 39).

ევროპის საბჭოს სხვა ინსტრუმენტები, როგორცაა ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ (ლანსაროტის კონვენცია) და ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის

შესახებ შეიცავს ძალადობის დამატებითი ფორმების გენდერზე დაფუძნებულ რელევანტურ განმარტებებს. ამ ფორმებს სტამბოლის კონვენცია ცალსახად არ ითვალისწინებს, თუმცა, სასურველია, სახელმწიფო მხარეებმა ეს გენდერული განზომილებები გაითვალისწინონ მონიტორინგის შესაბამისი ორგანოს წინაშე ანგარიშგებისას. ამ კუთხით, რელევანტურია შემდეგი განმარტებები:

ადამიანებით ვაჭრობა - ექსპლოატაციის მიზნით პირთა სამუშაოზე აყვანა, ტრანსპორტირება, გადაცემა თავშესაფრის მიცემა ან მიღება, მუქარის, ძალის ან იძულების სხვა ფორმის გამოყენების, მოტაცების, თაღლითობის, მოტყუების, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, უმწეო მდგომარეობით სარგებლობის ან საზღაურის ან სარგებლის მიცემის ან მიღების გზით, რომლის მიზანია იმ პირის თანხმობის მიღება, რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა პირზე. ექსპლოატაცია, ყველაზე შეზღუდული განმარტებით, მოიცავს სხვა პირთა ექსპლოატაციას პროსტიტუციის მიზნით ან სექსუალური ექსპლოატაციის სხვა ფორმებს, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონურ ან სხვა მსგავს მდგომარეობაში ჩაყენებას, ყმობას ან ორგანოების ამოცლას (იხ. ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მუხლი 4(a)).

სექსუალური ძალადობა ბავშვზე - სექსუალური ურთიერთობის დამყარება ბავშვთან, რომელსაც, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების მიხედვით, ჯერ არ მიუღწევია სექსუალური ურთიერთობისთვის კანონით დადგენილი ასაკისათვის, იძულების, ძალის, ან მუქარის გამოყენებით; ან ბავშვის მიმართ ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის, ან ბავშვის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით (განსაკუთრებით, შეზღუდული შესაძლებლობის ან დამოკიდებული მდგომარეობის გამო) (იხ. ლანსაროტის კონვენცია, მე-18 მუხლის პირველი პუნქტი).

წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში სექსუალური ძალადობა ბავშვზე განხილულია სექსუალური ძალადობის სერვისების კონტექსტში, რადგან ეს სააგენტოები ბავშვებსა და ახალგაზრდებთანაც მუშაობენ. ვინაიდან სტამბოლის კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ფორმები და ადამიანებით ვაჭრობა ერთმანეთს კვეთს, მეთოდოლოგია მოიცავს ადამიანებით ვაჭრობის საკითხსაც.

მიწოდების ფორმები

მონაცემთა აღრიცხვის ფორმები სამი ტიპის მიწოდებას ითვალისწინებს: სპეციალიზებული სერვისები (რომლებიც განმარტებულია ქვემოთ), საერთო სერვისების ბაზაზე არსებული სპეციალიზებული სერვისები და საერთო სერვისები. სპეციალიზებული სერვისები, რომლებიც საერთო სერვისების ბაზაზე არსებობს, გულისხმობს მუშაკებს/ჯგუფებს, რომლებიც მხარდაჭერას მხოლოდ ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის მსხვერპლს უწევენ. ასეთი სპეციალიზებული მხარდაჭერის შექმნა შესაძლებელია, მაგალითად, თავშესაფრის სერვისების ან ჯანდაცვის სერვისების ბაზაზე და მას უზრუნველყოფენ თანამშრომლები, რომელთა ფუნქციაა ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა. ამაში შედის სპეციალიზებული თავშესაფრები, რომელიც შედარებით ფართო თავშესაფრების ბაზაზე მუშაობენ, ნაცვლად არასამთავრობო ორგანიზაციებისა, რომლებიც მხოლოდ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის კუთხით საქმიანობენ.

სტამბოლის კონვენცია ითვალისწინებს მხარდაჭერის არაერთ კონკრეტულ ფორმას, რომლებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს, თუმცა ეს სერვისები შეიძლება არსებობდეს სახემეცვლილი ფორმით, ან მოქმედებდეს სხვა სერვისები, რომლებიც მონაცემთა აღრიცხვის ფორმებში არ არის წარმოდგენილი. წინამდებარე დოკუმენტში ასახული მეთოდოლოგიის ინსტრუმენტები იძლევა მხარდაჭერის სხვა ფორმების გათვალისწინების შესაძლებლობას.

სტამბოლის კონვენცია ცალსახად მიუთითებს სპეციალიზებული მხარდაჭერის შემდეგ ფორმებზე: თავშესაფრები, ცხელი ხაზები, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა მომსახურება, სამართლებრივი მხარდაჭერა, საკონსულტაციო ცენტრები და არასრულწლოვანი მოწმეების მხარდაჭერა.⁵

⁵ ეს სერვისები წარმოდგენილია სპეციალიზებული სერვისების სექციაში, რაც ნიშნავს, რომ ისინი ფოკუსირებულნი არიან ქალთა მიმართ ძალადობაზე. შესაბამისად, აღნიშნული სერვისები არ ითვალისწინებენ, მაგალითად,

თავშესაფარი უნდა უზრუნველყოფდეს გადაუდებელ და, სასურველია, 24-საათიან უსაფრთხო საცხოვრებელს მსხვერპლისთვის, განსაკუთრებით, ქალებისა და ბავშვებისათვის, როდესაც ისინი სახლში უსაფრთხოდ არ გრძნობენ თავს. მხოლოდ დროებითი საცხოვრებელი ან საერთო თავშესაფარი (მაგ.: უსახლკაროთა თავშესაფარი) საკმარისი არ არის. ქალთა სპეციალიზებული თავშესაფრები ყველაზე უკეთაა აღჭურვილი იმისათვის, რომ უზრუნველყოს მხარდაჭერა ურთიერთდაკავშირებული პრობლემების დასაძლევად, რომლებსაც ქალები და მათი შვილები აწყდებიან; მათ შესაძლებლობა მისცეს, გაუმკლავდნენ ტრავმულ გამოცდილებას, მიატოვონ მოძალადე პარტნიორები/მეუღლეები, აღიდგინონ თავდაჯერებულობა და შექმნან საკუთარი დამოუკიდებელი ცხოვრების საფუძველი. ისინი შესაბამის თემებში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ურთიერთობების დამყარებაში, მრავალუწყებრივ თანამშრომლობასა და ცნობიერების ამაღლებაში (სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათი, პუნქტი 133).

135-ე პუნქტი მიესალმება თითოეულ რეგიონში თავშესაფრის არსებობას, რათა ყოველ 10,000 მოსახლეზე თავშესაფარში ერთი ადგილი მოდიოდეს. ამავდროულად, თავშესაფრები ხელმისაწვდომი უნდა იყოს შშმ ქალებისა და მიგრანტებისათვის.

სატელეფონო ცხელი ხაზების ნომერი, რეკლამის საშუალებით, ფართო საზოგადოებისთვის უნდა იყოს ცნობილი. ცხელი ხაზები უნდა უზრუნველყოფდეს მხარდაჭერას, კრიზისთან დაკავშირებულ კონსულტაციას, პირისპირ მომსახურების მისაღებად ვადამისამართებას (მაგ.: თავშესაფრებში, საკონსულტაციო ცენტრებში ან სამართალდამცველ ორგანოებში). სატელეფონო ცხელი ხაზები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მთელი ქვეყნის მასშტაბით და 24-საათიან რეჟიმში, შესაბამის ენაზე და უფასოდ (სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათი, პუნქტი 136).

სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერას შესაძლოა ჰქონდეს გაუპატიურების მსხვერპლთა დახმარებისა ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა ვადამისამართების ცენტრის ფორმა. გაუპატიურების მსხვერპლთა დახმარების ცენტრი, როგორც წესი, უზრუნველყოფს გრძელვადიან მხარდაჭერას (მაგ.: პირისპირ კონსულტაცია, მხარდაჭერის ჯგუფები და კონტაქტი სხვა სერვისებთან). ისინი მსხვერპლს ეხმარებიან სასამართლო წარმოებისა და ქალებთან ადვოკატირებისას, ასევე, უწევენ სხვა პრაქტიკულ დახმარებასაც. სექსუალური ძალადობის ვადამისამართების ცენტრები უზრუნველყოფს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას, მაღალი დონის სასამართლო ექსპერტიზასა და კრიზისში ინტერვენციას. ხშირად, ასეთი ცენტრები შექმნილია საავადმყოფოს ბაზაზე, სექსუალური ძალადობაზე დაუყოვნებლივი რეაგირების მიზნით სამედიცინო შემონშებების ჩასატარებლად, ასევე, მსხვერპლის სპეციალიზებულ, თემზე დაფუძნებულ ორგანიზაციებთან ვადამისამართების გზით დამატებითი მომსახურების მისაღებად (სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათი, პუნქტი 140-141).

განმარტებით ბარათში ასევე აღნიშნულია, რომ ყოველ 200,000 მოსახლეზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ერთი ასეთი ცენტრი, ხოლო მათი გეოგრაფიული განაწილება თანაბრად უზრუნველყოფდეს ცენტრების ხელმისაწვდომობას სოფლებსა და ქალაქებში.

მხარდაჭერას სამართლებრივი პროცესის მეშვეობით ახორციელებენ ორგანიზაციები, კერძოდ, კონსულტანტები, რომლებიც ოჯახში ძალადობის საკითხებზე არიან მომზადებული, ან სხვა ტიპის მხარდაჭერის/ადვოკატირების სერვისები, რომელთაც შეუძლიათ მსხვერპლისათვის დახმარებისა და მხარდაჭერის განევა გამოძიების დროს და სამართალწარმოების პროცესში. ამ ტიპის მომსახურება არ არის სამართლებრივი - ეს უფრო პრაქტიკული/ფსიქოლოგიური ტიპის სერვისია და მოიცავს ფსიქოლოგიურ/ემოციურ მომზადებას (რათა მსხვერპლმა შეძლოს ბრალდებულის თანდასწრებით ჩვენების მიცემა, ან სასამართლოში მსხვერპლის გვერდით ყოფნა) და სხვა პრაქტიკული ან ემოციური დახმარების განევას მისთვის (სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათი, პუნქტი 282).

საკონსულტაციო ცენტრები არის არასაცხოვრებელი ტიპის სერვისები, რომლებიც დღის განმავლობაში უზრუნველყოფენ მხარდაჭერას, მათ შორის, რჩევას, კონსულტაციასა და

საერთო სატელეფონო ცხელი ხაზებს, ან უსახლკაროთა თავშესაფრებს.

ტექნიკურ მხარდაჭერას, ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და მათი ბავშვებისათვის. ეს მოიცავს ინტერვენციის ცენტრებს, რომლებიც ადვილობრივ დონეზე ქალებს პრაქტიკულ და ემოციურ დახმარებას აწვდიან.

არასრულწლოვანი მონწიეების დაცვა და მხარდაჭერა გულისხმობს ასაკის შესაბამის ფსიქოსოციალურ კონსულტაციას კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ნებისმიერი ფორმის არასრულწლოვანი მონწიეებისათვის და სათანადოდ ითვალისწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს (სტამბოლის კონვენცია, მუხლი 26).

მხარდაჭერის სახეები

მხარდაჭერის სხვადასხვა სერვისი განსხვავებული ტიპის მხარდაჭერას უზრუნველყოფს: ცხელი ხაზი; თავშესაფარი; გაუპატიურების მსხვერპლთა დახმარების ცენტრები, რომლებიც ხშირად სამართლებრივ და ფსიქოლოგიურ კონსულტაციასა და პრაქტიკულ მხარდაჭერასაც აუწევენ. ზოგჯერ მომსახურების მიმწოდებლები ერთზე მეტი სახის მხარდაჭერას უზრუნველყოფენ. ქვემოთ წარმოდგენილია მხარდაჭერის ყველაზე გავრცელებული სახეები, თუმცა, ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.

კრიზისულ სიტუაციაში მხარდაჭერა მოკლევადიანია და ითვალისწინებს განსჯის გარეშე დახმარებას, კონსულტაციას და რესურსების მობილიზებას ოჯახში ძალადობისთანავე, ან კრიზისული სიტუაციის დროს. ამ ტიპის დახმარების მიზანია სტრესის შემცირება და პირის შესაძლებლობის გაუმჯობესება არსებულ სიტუაციასა და მომავალ კრიზისებთან გასამკლავებლად. კრიზისულ სიტუაციაში მხარდაჭერა შესაძლებელია პირისპირ ან ტელეფონით.

სამართლებრივი რჩევა/კონსულტაცია/ადვოკატირება გულისხმობს სამართლებრივი უფლებების შესახებ ინფორმაციაზე წვდომას, ასევე, სამართლებრივი პროცესის საშუალებით ძალადობის მსხვერპლთა გვერდით ყოფნას და მათ მხარდაჭერას. ეს შესაძლოა მოიცავდეს სხვა უწყებების წინაშე ადვოკატირებას, რათა პირმა შეძლოს მათი სამართლებრივი სიკეთეების მიღება.

ფსიქოლოგიური კონსულტაცია მოიცავს საუბარს მსხვერპლთან ძალადობისა და მისი გავლენის შესახებ; ასევე, იმ უარყოფითი გავლენის განხილვას, რომელიც ძალადობამ იქონია პიროვნების თვითაღქმასა და სხვებთან ურთიერთობაზე. ამ პროცესის შედეგად, არასრულწლოვანი ან ზრდასრული პირი შეძლებს, პასუხისმგებლობა დააკისროს მოძალადეს ჩადენილ ქმედებაზე, პოზიტიურად იფიქროს მომავალზე, საკუთარ სხეულში კომფორტულად იგრძნოს თავი და ჯანსაღად აღიქვას საკუთარი თავი. ამ ტიპის მხარდაჭერა, უმეტესწილად, გრძელვადიანია. კონსულტაცია ზოგჯერ ინტერნეტით ხორციელდება.

საველე სამუშაოები გულისხმობს უფრო ფართო საზოგადოებასთან მუშაობას (მომსახურების/ცენტრის ფიზიკური საზღვრების მიღმა) იმ ადამიანებთან დასაკავშირებლად, რომლებსაც ესაჭიროებათ დახმარება, მაგრამ არ შეუძლიათ/არ არიან თავდაჯერებულნი, რომ შესაბამის სერვისს თავად დაუკავშირდნენ, ან არაფერი იციან მის არსებობაზე.

საქმის ადვოკატირება გულისხმობს ინდივიდუალურ მსხვერპლთა ინფორმირებას მათ უფლებებზე და სხვადასხვა ინსტიტუციურ კონტექსტში ამ უფლებათა მოპოვების შესაძლებლობის მინიჭებას. ეს მოიცავს მსხვერპლთა მხარდაჭერას, რომ შეძლონ დახმარების მიღება ისეთი დანესებულებებისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ თავშესაფარს, ფინანსურ მხარდაჭერას, სამართლებრივ დაცვას, დასაქმებას, სოციალურ მზრუნველობას, სოციალურ თუ ჯანმრთელობის დაცვას და, შესაძლოა, მსხვერპლის გვერდით ყოფნასაც (თანხლებას).

სამართლებრივი რჩევა გულისხმობს ინფორმაციისა და რჩევის მიწოდებას სამართლებრივი პროცესის, უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ და შეიძლება მოიცავდეს სამართლებრივ წარმომადგენლობასაც.

ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდა გულისხმობს მსხვერპლის დახმარებას, რათა იგრძნოს, რომ საკუთარ ცხოვრებას თვითონ აკონტროლებს. ხშირ შემთხვევაში, ეს მოიცავს მუშაობას ფინანსური უზრუნველყოფისთვის, კერძოდ, მოძალადისგან ეკონომიკური დამოუკიდებლობის მისაღწევად (განმარტებითი ბარათი, პუნქტი 118). აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს ტრენინგით, განათლებასა ან პერსონალური განვითარების კურსებზე წვდომით, რაც გულისხმობს დასაქმების მოძიებაში დახმარებასაც (მუხლი 20(1)). ეს ასევე მოიცავს წვდომას სოციალური დახმარებაზე, ბავშვის შემწეობასა და მთავრობის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის სხვა ფორმებზე.

ზოგიერთი სერვისი ბენეფიციარებს სთავაზობს ქვემოთ წარმოდგენილი ორი ტიპის მომსახურებას, თუმცა ეს სერვისები ხშირად შეუსაბამოდ მიიჩნევა ძალაუფლების დისბალანსის შემთხვევებში (მაგ.: წყვილს შორის ძალადობისას, ან როცა ოჯახის ერთი წევრი არასრულწლოვან წევრზე სექსუალურად ძალადობს). ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირების ფარგლებში ამ მომსახურებათა გამოყენებისას საჭიროა სიფრთხილე, მათი ეთიკური შედეგებისა და მსხვერპლთა უფლებების დაცვის კუთხით.

მედიაცია არის მხარეებს შორის დავის მოგვარების შესაძლებლობა მესამე მხარის (მედიატორის) ჩართულობით, რომელიც მათ შეთანხმების მიღწევაში ეხმარება.

წყვილთა კონსულტაცია გულისხმობს ერთმანეთთან ურთიერთობაში მყოფი მხარეებისთვის კონსულტაციის განწევას, რათა მათ შეძლონ განსხვავებებისა და განმეორებადი პრობლემების აღიარება, მართვა და დარეგულირება.

შემაჯავებელი მეთოდოლოგია

GREVIO-ს წინაშე ანგარიშების პროცესში, რეკომენდებულია, ქვემოთ წარმოდგენილი კითხვარების საფუძველზე მონაცემთა შეგროვება და თავმოყრა დაევალოს კონკრეტულ სახელმწიფო მოხელეს. მოსალოდნელია, რომ მონაცემთა შეგროვებისას სახელმწიფო ითანამშრომლებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, თუმცა, ამავდროულად, არასამთავრობო ორგანიზაციებს უფლება აქვთ, GREVIO-ს წარუდგინონ ცალკე ანგარიში.

შესაბამისი სამუშაოებისთვის, რეკომენდებულია შემდეგი მეთოდოლოგიის გამოყენება:

ორი მრგვალი მაგიდის შექმნა იმ დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, რომელთაც ჩაუტარდათ ტრენინგი სახელმძღვანელო პრინციპებისა და შესაგროვებელი მონაცემების შესახებ. ყველა სათანადოდ უნდა იცნობდეს სტამბოლის კონვენციაში წარმოდგენილ განმარტებებს და თანხმდებოდეს, რომ იმუშავეს ამ განმარტებათა მიხედვით, რათა შესაძლებელი იყოს ეროვნულ დონეზე შეგროვებული მონაცემების შედარება. თუ არსებობს მხარდაჭერის ისეთი ფორმები, რომლებიც ამ ეტაპზე არ (ან საკმარისად არ) განხილულა, მათი დამატება შესაძლებელია დანართის სახით, დანართში წარმოდგენილი მონაცემების გამოყენება კი სამომავლოდ შესაძლებელია ინსტრუმენტების გასაახლებლად.

სტამბოლის კონვენცია (იხ. დანართი) მკაფიოდ აცხადებს, რომ სპეციალიზებული არასამთავრობო ორგანიზაციები ძირითადი პარტნიორები არიან შესასრულებელი სამუშაოს ფარგლებში. ამასთან, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სახელმწიფოს მიერ ისეთი მოვალეობების შესრულებაში, როგორცაა ქალებისა და ბავშვების დაცვა და მათთვის სათანადო მხარდაჭერის უზრუნველყოფა. ორი მრგვალი მაგიდის ფორმატი სწორედ ამ მოვალეობებს ასახავს.

მონაცემთა თავმოყრის სავარაუდო მინიმალური ვადაა 6 თვე, თუმცა რეკომენდებულია, ამ პროცესს ერთი წელი დაეთმოს.

მრგვალი მაგიდა 1: სპეციალიზებული სერვისები

წევრები:

- ▶ ყველა ქოლგა ორგანიზაცია, რომლებიც დახმარებას/კოორდინაციას უწევენ ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის მომსახურებას: თავშესაფრები, გაუპატიურების მსხვერპლთა დახმარების ცენტრთა ქსელები და ინტერვენციის ცენტრთა ქსელები;
- ▶ ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ მხარდაჭერის ნაკლებად განვითარებულ სფეროებში (მაგ.: ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება, იძულებითი ქორწინება);
- ▶ იმ კონკრეტულ კატეგორიებთან მომუშავე ჯგუფები, რომელთაც ყველაზე ნაკლებად მიეწოდებათ შესაბამისი მომსახურება (მაგ.: შშმ ქალები, უმცირესობის წარმომადგენელი ან მიგრანტი ქალები).

პროცესი:

შესაგროვებელ მონაცემებზე ტრენინგის ჩატარება, მათ შორის, მხარდაჭერის იმ მნიშვნელოვანი ფორმების გამოვლენა, რომლებსაც წარმოდგენილი ინსტრუმენტები არ ითვალისწინებს.

- ▶ არ შეიძლება იმ ორგანიზაციების „ორჯერ მითვლა“, რომლებიც რამდენიმე ქსელის წევრები არიან;
- ▶ პასუხისმგებელი სახელმწიფო მოხელისთვის შესაბამის მონაცემთა მიწოდების ვადებზე შეთანხმების მიღწევა;
- ▶ სახელმწიფოს მიერ GREVIO-სათვის მომზადებული ანგარიშის პროექტის (მხარდაჭერის სერვისების შესახებ) გაგზავნა პროცესის ყველა მონაწილისათვის, რათა წარმოადგინონ თავიანთი შენიშვნები, ასევე, შემოწმდეს მონაცემებისა და მათი ინტერპრეტაციის ხარისხი;
- ▶ საბოლოო ვერსიის მომზადება, წარმოდგენილი შენიშვნების მიხედვით.

მას შემდეგ, რაც GREVIO შეიმუშავებს საკუთარ ანგარიშს ქვეყნების შესახებ, რეკომენდაციებთან ერთად, ხოლო სტამბოლის კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოთა კომიტეტი ანგარიშის საფუძველზე დაამტკიცებს მათ, ჯგუფი ხელახლა უნდა შეიკრიბოს ამ რეკომენდაციების განსახილველად.

მრგვალი მაგიდა 2: საერთო სერვისები

ამ შემთხვევაში საჭიროა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, რათა ჯანდაცვის, სოციალური სამუშაოს, სამართლის, დასაქმებისა და სხვა სექტორებში გამოვლინდნენ პირები, რომლებიც ძალადობის მსხვერპლ ქალებთან მუშაობენ. ეს შესაძლოა განხორციელდეს ეროვნულ ან რეგიონულ დონეზე. აღნიშნული პირები უნდა მიიწვიონ მრგვალი მაგიდის დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად, ხოლო პროცესი ოდნავ განსხვავებული იქნება. ამ ჯგუფის საშუალებით შესაძლებელია მონაცემთა აღრიცხვის ორი ფორმის შევსება: “საერთო სერვისების ბაზაზე არსებული სპეციალიზებული მომსახურება” და “საერთო მომსახურება”.

პროცესი:

შესაგროვებელ მონაცემებზე ტრენინგის ჩატარება, მათ შორის, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი ფორმების გამოვლენა, რომლებსაც წარმოდგენილი ინსტრუმენტები არ ითვალისწინებს.

- ▶ შეთანხმების მიღწევა საერთო სერვისების თვარგლებში არსებულ სპეციალიზაციაზე;
- ▶ არ შეიძლება იმ ორგანიზაციების „ორჯერ მითვლა“, რომლებიც რამდენიმე ქსელის წევრები არიან;
- ▶ პასუხისმგებელი სახელმწიფო მოხელისთვის შესაბამის მონაცემთა მიწოდების ვადებზე შეთანხმების მიღწევა;
- ▶ სახელმწიფოს მიერ GREVIO-სათვის მომზადებული ანგარიშის პროექტის (მხარდაჭერის სერვისების შესახებ) გაგზავნა პროცესის ყველა მონაწილისთვის, რათა წარმოადგინონ თავიანთი შენიშვნები, ასევე, შემოწმდეს მონაცემებისა და მათი ინტერპრეტაციის ხარისხი;
- ▶ საბოლოო ვერსიის მომზადება წარმოდგენილი შენიშვნების მიხედვით.

მას შემდეგ, რაც GREVIO შეიმუშავებს საკუთარ ანგარიშს ქვეყნების შესახებ, რეკომენდაციებთან ერთად, ხოლო სტამბოლის კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოთა კომიტეტი ანგარიშის საფუძველზე დაამტკიცებს რეკომენდაციებს, ჯგუფი ხელახლა უნდა შეიკრიბოს ამ რეკომენდაციების განსახილველად.

- ▶ ამჟამად რომელი სახის ძალადობას განეწევა ყველაზე ნაკლები მხარდაჭერა (ოჯახში ძალადობა, გაუპატიურება/სექსუალური ძალადობა, სექსუალური ძალადობა ბავშვებზე, ადევნება, „ღირსების“ სახელით ჩადენილი ძალადობა, იძულებითი ქორწინება, ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება/წინდაცვეთა, სექსუალური ძალადობა, ტრეფიკინგი და სექსუალური ექსპლუატაცია);
- ▶ მხარდაჭერის სერვისების ფარგლებში, როგორ უწყობს მთავრობა ხელს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ გენდერულ მიდგომას? მთავრობა აღიარებს იმ მსხვერპლთა კონფიდენციალობის უფლებას, რომელთაც მხარდაჭერის მიღება სურთ?
- ▶ მთავრობა მხარს უჭერს/აღიარებს მხარდაჭერის სერვისების საერთო სტანდარტებს? დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა ფორმისა და ტიპის სერვისებთან დაკავშირებით?
- ▶ სპეციალიზებული მხარდაჭერის სერვისებს (მათ შორის, საერთო სერვისების ბაზაზე არსებულ სპეციალიზებულ სერვისებს) საკმარისი შესაძლებლობები აქვთ? მაგალითად, ქალები გადაუდებელი შემთხვევის დროს თავშესაფარში ადგილს იპოვნიან? არსებობს მომლოდინეთა სია (waiting list) ფსიქოლოგიური კონსულტაციისათვის?
- ▶ როგორ ხდება უწყებათაშორისი კომუნიკაცია და კოორდინაცია ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე⁶ და მოიცავს თუ არა ეს ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმას?
- ▶ მთავრობა მხარს უჭერს/აფინანსებს/მოითხოვს პროფესიონალთა ტრენინგებს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ? დადებითი პასუხის შემთხვევაში, რომელ სექტორებში? როგორია ტრენინგის ხანგრძლივობა და სამუშაო ძალის რა ნაწილმა გაიარა ეს სწავლება?
- ▶ როგორ აპირებს სამომავლოდ მთავრობა სტამბოლის კონვენციის მიერ დადგენილი სტანდარტების პრაქტიკაში განხორციელებას მხარდაჭერის სერვისებთან დაკავშირებით? როგორ უზრუნველყოფს ის, რომ სერვისებმა მოიცვან ფართო გეოგრაფიული ტერიტორია და გამოასწორონ მომსახურების მიწოდებაში ამჟამად არსებული ხარვეზები?
- ▶ ხელმისაწვდომია მხარდაჭერის სერვისების შესახებ ადეკვატური და დროული ინფორმაცია შესაბამის ენაზე?
- ▶ განსხვავდება თანხმობის კანონით გათვალისწინებული ასაკი იმ ასაკისგან, რომლის მიღწევის შემდეგაც პირს უფლება აქვს, მიიღოს სპეციალიზებული მომსახურება? ანუ არსებობს ხარვეზი მომსახურების ახალგაზრდა ქალებისთვის მიწოდების მხრივ?
- ▶ როგორ არის გადაჭრილი ისეთი საკითხები, როგორიცაა შშმ ქალთა წვდომა მომსახურებაზე, განსაკუთრებით, თავშესაფრების კუთხით? ამ მხრივ, რომელ შეზღუდულ შესაძლებლობასთან მიმართებით განხორციელდა ეფექტიანი/ნაკლებად ეფექტიანი ღონისძიებები?

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩრდილოვანი ანგარიშის მოსამზადებლად გასათვალისწინებელი საკითხები

არასამთავრობო ორგანიზაციებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ მთავრობის მიერ GREVIO-სათვის წარსადგენი ანგარიშის მომზადებაში. არსებობს გარკვეული ასპექტები, რომლებიც, სავარაუდოდ, ამ ანგარიშის მიღმა დარჩება და რომელთა შეფასებაც GREVIO-ს წევრებისათვის რთულია წინა-

6 ამის ორგანიზება შესაძლებელია სხვადასხვა გზით: ფორმალური კომიტეტები, რეგულარული მრგვალი მაგიდის შეხვედრები, შესაბამისი პირის დანიშვნა სპეციალურად ამ მიზნით... თუმცა, კომუნიკაციის მთავარი მიზანია საერთო პრინციპების შექმნა (მაგ.: გენდერული გაგება, ადამიანის უფლებები) მსხვერპლსა და დაზარალებულთან ინტერვენციებისთვის, ასევე, როლების მკაფიოდ განსაზღვრა და ერთობლივი ზრუნვა რეაგირების გაუმჯობესებაზე.

მდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი ინსტრუმენტების და/ან ანგარიშგების სხვა საშუალებების გამოყენებით.

ქვემოთ წარმოდგენილი კითხვები უფრო მეტად ყურადღებას ამახვილებს მხარდაჭერის მომსახურების ხარისხზე, თანმიმდევრულობასა და მდგრადობაზე. სასურველია, არასამთავრობო ორგანიზაციებმა ეს კითხვები გაითვალისწინონ ჩრდილოვანი ანგარიშების მომზადებისას.

კომენტარები მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით

1. ფიქრობთ, რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია?
 - a. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, განმარტეთ, რატომ. რას დაამატებდით?
2. ანგარიშში კარგად არის გამიჯნული სპეციალიზებული სერვისები, საერთო სერვისების ბაზაზე არსებული სპეციალიზებული მომსახურება და საერთო სერვისები?
3. არსებობს სერვისები, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმას მოიცავს (როგორც სტამბოლის კონვენციაშია გათვალისწინებული)? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, აღნიშნეთ ხარვეზები მომსახურების მიწოდებისა და ექსპერტული გამოცდილების კუთხით?
4. როგორია მხარდაჭერის სერვისების გეოგრაფიული განაწილება? მომსახურება ყველაზე ნაკლებად რომელ ტერიტორიებზეა ხელმისაწვდომი?
5. რომელი მნიშვნელოვანი ხარვეზები იკვეთება მიწოდებაში? ეს შეიძლება ეხებოდეს ერთ კონკრეტულ მომსახურებას (მაგ.: სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის), ან დამატებითი საჭიროებების მქონე ქალების (მაგ.: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მიგრანტი, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, ლესბოსელი, ახალგაზრდა და ხანდაზმული ქალები) რამდენიმე მომსახურებას;
6. როგორია ბალანსი ქალთა სპეციალიზებული ორგანიზაციების მიერ მართულ მომსახურებასა და საერთო სერვისების ბაზაზე არსებულ მომსახურებას შორის (მუნიციპალიტეტების მიერ მართულ საავადმყოფოებში და ა.შ.)?
7. ახერხებენ თუ არა საერთო სერვისები (ჯანდაცვის, პოლიციის, სოციალური, სასჯელაღსრულების, განთავსების, დასაქმების) ძალადობის იდენტიფიცირებას და მსხვერპლთა გადამისამართებას სპეციალიზებულ სერვისებში?
8. არსებობს საერთო სერვისებიდან სპეციალიზებულ სერვისებში (არასამთავრობო ორგანიზაციებში) გადამისამართების მკაფიო გზები? რამდენად ეფექტიანად მუშაობს ისინი? მიეწოდებათ თუ არა ქალებს დროდადრო ინფორმაცია და რამდენად საკმარისია ის?
9. რა მომზადება გაიარეს საერთო სერვისების თანამშრომლებმა შესაბამის საკითხებზე? ეს მომზადება/ტრენინგები ეფუძნებოდა გენდერულ გაგებას? არსებობს სექტორი, სადაც ამ მხრივ მნიშვნელოვანი ხარვეზი აღინიშნება? ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობა საკმარისად გათვალისწინებულია პროფესიულ/საკვალიფიკაციო ტრენინგში?
10. რამდენად ხელმისაწვდომია მხარდაჭერის მომსახურება ქალებისათვის, რომელთაც სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობა აქვთ? არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის რაიმე ფორმა, რომელიც მხარდაჭერის მომსახურებაში ყველაზე ნაკლებად არის გათვალისწინებული?
11. მხარდაჭერის მომსახურება უსასყიდლოდ ხორციელდება? ხელმისაწვდომია იგი სხვადასხვა ენაზე?
12. არსებობს ბარიერები, რომლებიც მხარდაჭერის მომსახურებაზე წვდომას აბრკოლებს (მაგ.: სავალდებულო დამცავი ორდერი, მოქალაქეობა, ნარკოტიკული საშუალებების ბოროტად გამოყენება და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები)?

13. არსებობს პრობლემები სერვისების ადგილმდებარეობისა და მათი მომხმარებელი ქალებისა თუ ბავშვების კონფიდენციალობის დაცვასთან დაკავშირებით?
14. ეროვნული სტანდარტების შემუშავებაში (თუ ასეთი არსებობს) მონაწილეობდნენ მხარდაჭერის სპეციალიზებული სერვისები ძირითადი პარტნიორების სახით? გააუმჯობესა ამან მომსახურების ხარისხი?

დამატებითი კითხვები ხარისხთან, თანმიმდევრულობასა და მდგრადობასთან დაკავშირებით

1. აღიარებულნი არიან არასამთავრობო ორგანიზაციები საჭირო ექსპერტული გამოცდილების მქონე ორგანიზაციებად, რომლებიც სპეციალიზებულ მხარდაჭერას უზრუნველყოფენ ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე?
2. არსებობს შესაძლებლობასთან დაკავშირებული პრობლემები (არასაკმარისი მომსახურება/რესურსები) ქალთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად? მაგალითად, რამდენმა ქალმა ვერ იპოვნა ადგილი თავშესაფარში? რამდენი ქალი ვერ დაუკავშირდა ცხელ ხაზს? გაუპატიურების მსხვერპლთა დახმარების ცენტრებში არსებობს კონსულტაციის მომლოდინეთა სიები?
3. ხელმისაწვდომია სამართლებრივი/საქმის/ქალების მიერ ქალებისათვის (woman-to-woman) ადვოკატირება მხარდაჭერის არსებულ სერვისებში? არსებობს ამ მხრივ ხარვეზები?
4. მნიშვნელოვანი განსხვავებაა ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის საკითხებზე მომუშავე ქალთა ორგანიზაციებსა და სხვა ორგანიზაციებს შორის ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერის კუთხით? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ახსენით, რით გამოიხატება ეს განსხვავებები?
